საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სიმონ ჩხაიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	**90**	**100**

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

სიმონ ჩხაიძის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. კოლეგები კანდიდატს ახასიათებენ როგორც კორექტულ, დისციპლინირებულ, თავდაჭერილ, საქმისა და ადამიანების ერთგულ, მაღალი პროფესიული სინდისის მქონე პიროვნებას. კანდიდატმა საჯარო გასაუბრებაზე საკუთარ ნაკლოვანებად მიუთითა სიზარმაცე და სიჯიუტე.

სიმონ ჩხაიძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, სიმონ ჩხაიძე პრინციპული, შეუვალი და ზეგავლენებისგან თავისუფალი პიროვნებაა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ მას შესწევს კრიტიკული სიტუაციების მართვისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. კოლეგების შეფასებით, კანდიდატი თავისუფალია წინასწარი განწყობებისგან, რაც მხარეებში აჩენს ნდობას.

საჯარო გასაურებაზე კანდიდატმა განაცხადა, რომ რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს საბჭომ, ყველანაირ გადაწყვეტილებას პატივის სცემს, რადგან პროცედურები არის ,,გამართული, გამჭვირვალე, სწორი" და ენდობა საბჭოს. ცხადია, ინსტიტუციის მიმართ ნდობა მნიშვნელოვანია, თუმცა ეს ნდობა არ უნდა იყოს უპირობო,

გადაჭარბებული და თავშივე გამორიცხვა იმისა, რომ სასამართლო სისტემაში პოლიტიკის განმსაზღვრელმა ორგანომ შეიძლება არ მიიღოს ,,სწორი" გადაწყვეტილება, არ მიმაჩნია გამართლებულად.

სიმონ ჩხაიძე განაცხადში უთითებს, რომ 1991 წლის მარტიდან 2006 წლის თებერვლამდე იყო რესპუბლიკური პარტიის წევრი.

ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, სიმონ ჩხაიძე კორექტული და თავდაჭერილი პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია საკუთარი ემოციების მართვა და განსხვავებული აზრის მოსმენა. საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა აღნიშნა, რომ კოლეგიურ შემადგენლობაში მრავალწლიანი მოღვაწეობა დაეხმარა მას დაეძლია სიჯიუტე, რაც საკუთარ სისუსტედ მიაჩნდა.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ სიმონ ჩხაიძის მიმართ დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

კანდიდატი განაცხადში უთითებს, რომ იყო მოპასუხე განქორწინების საქმეში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობისა და სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო სარჩელი დაკმაყოფილდა. ასევე, კანდიდატი იყო მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების საქმეში, თუმცა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 ივნისის განჩინებით სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები სიმონ ჩხაიძეს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით როგორც სასამართლო აპარატსა და კოლეგებში, ასევე, ზოგადად იურიდიულ წრეებში. ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ კანდიდატი მრავალი წელია ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და მას კარგი რეპუტაცია აქვს ძველი და ახალი თაობის იურისტებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

სიმონ ჩხაიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რომელიც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ცოდნის მაღალი დონე. გასაუბრების პროცესზე სიმონ ჩხაიძე შეეხო საქართველოს კონსტიტუციის შექმნის ისტორიას, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, სამოსამართლო ეთიკის წესებსა და ბანგალორის პრინციპებს, დაუსწრებელი გადაწყვეტილებების გამოყენების პრაქტიკულ სირთულეებს, დისკრიმინაციის აკრძალვის ზოგად პრინციპებს.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ სიმონ ჩხაიძე მაღალ დონეზე ფლობს სამართლის ყველა დარგს. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. საჯარო მოსმენის პროცესიდან ირკვევა, რომ კანდიდატი სისტემატურად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. რეკომენდატორთა თანახმად, კანდიდატი გადაწყვეტილების დასაბუთებისას იყენებს არა მხოლოდ საქართველოს სასამართლოების მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ

სამართალსაც. სიმონ ჩხაიძის კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი კარგად განმარტავს სამართლებრივ ნორმებს და სწორად უფარდებს ფაქტობრივ გარემოებებს. გასათვალისწინებელია, რომ სიმონ ჩხაიძემ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა კონსტიტუციური წარდგინებით, რაც გახდა სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი.[1] მას აქვს მოსამართლედ მუშაობის 14-წლიანი გამოცდილება, რაც აისახება მის კომპეტენციასა და სამართლებრივი დასაბუთების უნარზე.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე და მოიხმო როგორც საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების, ასევე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. კომერციულ სუროგაციასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე კანდიდატმა აღნიშნა, რომ თუ პირი თავისი ქმედებით საკუთარ თავს მნიშვნელოვნად არ აყენებს ზიანს, მას უნდა ჰქონდეს უფლება მოეპყრას საკუთარ სხეულს ისე, როგორც მას სურს. კანდიდატმა აღნიშნა, რომ კომერციული სუროგაცია გემოვნების, ეთიკის საკითხია, მისი თქმით, ,,როცა ადამიანი დაბადებულია, როდესაც ცოცხალია, მერე ბუნებრივია მასზე გარიგების დადება არ შეიძლება, მაგრამ ემბრიონთან დაკავშირებით, რაღაც მასალასთან დაკავშირებით, გარიგება სავსებით დასაშვებია და სამართლებრივ-ეთიკურ პრობლემას ვერ ვხედავ.“ ვერ დავეთანხმები კანდიდატს, რომ ემბრიონთან დაკავშირებით გარიგებების დადება ნებადართულია და არ უკავშირდება სამართლებრივ-ეთიკურ საკითხებს. დაუშვებელია ემბრიონის შექმნა განსაკუთრებული მახასიათებლების მინიჭების, კვლევისა და ბავშვის დაბადების გარდა სხვა მიზნით.[2] ემბრიონთან დაკავშირებით ნებისმიერი გარიგების დადება არ შეიძლება იყოს ნებადართული და ეს სწორედ ადამიანის ღირსების ძირითადი უფლებიდან გამომდინარეობს.

წერის უნარი: კანდიდატმა წარმოადგინა 3 სამართლებრივი ნაშრომი, მათ შორის 2 სასამართლო გადაწყვეტილება და ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია სახელწოდებით *„სხვა ობიექტური გარემოება, როგორც შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი“*. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ სიმონ ჩხაიძე აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი მსჯელობით. კანდიდატი ავლენს წერის მაღალ კულტურასა და სამართლებრივი ლექსიკის შესაბამის დონეზე ცოდნას. სიმონ ჩხაიძის მიერ შექმნილი სამართლებრივი დოკუმენტები გამოირჩევა სტილით, ლაკონიურობითა და სტრუქტურით. ერთ-ერთი

[1] https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=885

[2] კონვენცია ,,ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ,“ მუხლი 18.

რეკომენდატორის თანახმად, კანდიდატი ყოველთვის მოტივირებულია შექმნას ხარისხიანი დოკუმენტი.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციის უნარი. სიმონ ჩხაიძე საუბრობს გამართულად, მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოცემს ნათლად, ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ სიმონ ჩხაიძეს აქვს მდიდარი იურიდიული ლექსიკა, რაც უზრუნველყოფს აზრის სიღრმისეულად და გასაგებად გადმოცემას. ერთ-ერთი რეკომენდატორის მითითებით, კანდიდატი სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებისას ცდილობს მხარეებს მათთვის გასაგებ ენაზე განუმარტოს საქმის შედეგი და გადაწყვეტილების მიღების მიზეზები.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები სიმონ ჩხაიძეს ახასიათებენ როგორც შრომისმოყვარე და დისციპლინირებულ პიროვნებას, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი აზროვნებისა და სტრესული სიტუაციების მართვის უნარი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სიმონ ჩხაიძეს საანგარიშო პერიოდში (1010 დღე) დასრულებული აქვს 502 საქმე, დღეში საშუალოდ 0,5 საქმემდე. ამასთან, სიმონ ჩხაიძის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვის მაჩვენებელი 83.3%-ს, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 89.2%-ს აღწევს, რაც მიუთითებს მის პუნქტუალურობასა და დისციპლინურობაზე. აღნიშნულ უნარებზე მიუთითებენ კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირებიც. მაგალითად, ერთ-ერთი რეკომენდატორის მითითებით, კანდიდატს აქვს დროითი რესურსის სათანადოდ განაწილების, პრიორიტეტის სწორად განსაზღვრის, სასამართლო პროცესის ეფექტურად მართვის, სასამართლო სხდომების დამაჯერებლად და კორექტულად წარმართვის უნარი. რეკომენდატორების თანახმად, სიმონ ჩხაიძე ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება რთულ და მარტივ საქმეებს და დავის გადაწყვეტის მიზნით დაუღალავად ეცნობა როგორც სასამართლო პრაქტიკას, ასევე სამეცნიერო ნაშრომებს.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 9-ზე მეტ სემინარში, მათ შორის უსაფუძვლო გამდიდრების, კომერციული

არბიტრაჟის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ბავშვთა უფლებათა კოდექსის თაობაზე და სხვ.

ამასთან, კანდიდატი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი კერძო სამართლის მიმართულებით.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. კერძოდ, სიმონ ჩხაიძე არის ხუთი სამეცნიერო სტატიის ავტორი და ერთი სახელმძღვანელოს თანაავტორი. კანდიდატი ლექციებს კითხულობს რამდენიმე უნივერსიტეტში. ამასთან, ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ კანდიდატს ახასიათებს ინიციატივის გამოჩენის უნარი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში კანდიდატის მოღვაწეობას უკავშირდება არაერთი ინიციატივის განხორციელება.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. სიმონ ჩხაიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 90 ქულით, კერძოდ:
   2.1.სამართლის ნორმების ცოდნა - 18 ქულა;
   2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 18 ქულა;
   2.3.წერის უნარი -18 ქულა:
   2.4.ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 14 ქულა;
   2.5.პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 14 ქულა;
   2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 4 ქულა;
   2.7. პროფესიული აქტივობა - 4 ქულა;

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021